

შპს "ვესტა"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშო პერიოდი "01 იანვარი 2024 - 31 დეკემბერი 2024"

ქართულ ლარში

31 დეკემბერი 2024 წ. 31 დეკემბერი 2023 წ. 31 დეკემბერი 2022 წ.

აქტივები

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები	2,474,203	2,038,321	1,783,506
არამატერიალური აქტივები	1,546	1,933	2,320
სულ გრძელვადიანი აქტივები	2,475,748	2,040,254	1,785,827

მიმდინარე აქტივები

მარაგები	569,743	665,779	1,084,141
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	876,608	861,866	814,184
საგადასახადო აქტივები	70,276	0	0
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	680,182	533,703	336,267
სხვა აქტივები	0	55,776	117,912
ფული და ფულის ექვივალენტები	739,774	596,516	135,225
სულ მიმდინარე აქტივები	2,936,583	2,713,640	2,487,729
სულ აქტივები	5,412,331	4,753,894	4,273,556

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	2,000	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება	5,213,553	4,684,372	3,905,285
სულ კაპიტალი	5,215,553	4,686,372	3,907,285

გრძელვადიანი ვალდებულებები

სესხები	0	0	202,568
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0	202,568

მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	92,101	0	116,282
მიღებული ავანსები	91,824	67,523	47,421
სხვა ვალდებულებები	12,853	0	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	196,778	67,522	163,703
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	5,412,331	4,753,894	4,273,556

დირექტორის მიხედ. პირი:

ემა ჭარაია

- - -

შპს "ვესტა"

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშო პერიოდი "01 იანვარი 2024 - 31 დეკემბერი 2024"

ქართულ ლარში

	31 დეკემბერი 2024 წ.	31 დეკემბერი 2023 წ.
საოპერაციო შემოსავალი	6143096	6347272
საოპერაციო ხარჯები	-2292770	-2574265
საერთო მოგება	3850326	3773007
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-3023051	-2710436
საოპერაციო მოგება	827275	1062571
წმინდა საკურსო შემოსავალი/ზარალი	-265	0
არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	17961	11025
მოგება(ზარალი) დაბეგვრამდე	844971	1073596
მოგების გადასახადი	-47368	-27295
წლის მოგება	797602	1046301
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	797602	1046301

- -

დირექტორის მიხედ. პირი:

ემა ჭარაია

შპს "ვესტა"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშო პერიოდი "01 იანვარი 2024 - 31 დეკემბერი 2024"

ქართულ ლარში

31 დეკემბერი 2024 წ. 31 დეკემბერი 2023 წ. 31 დეკემბერი 2022 წ.

აქტივები

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები	2,474,203	2,038,321	1,783,506
არამატერიალური აქტივები	1,546	1,933	2,320
სულ გრძელვადიანი აქტივები	2,475,748	2,040,254	1,785,827

მიმდინარე აქტივები

მარაგები	569,743	665,779	1,084,141
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	876,608	861,866	814,184
საგადასახადო აქტივები	70,276	0	0
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	680,182	533,703	336,267
სხვა აქტივები	0	55,776	117,912
ფული და ფულის ექვივალენტები	739,774	596,516	135,225
სულ მიმდინარე აქტივები	2,936,583	2,713,640	2,487,729
სულ აქტივები	5,412,331	4,753,894	4,273,556

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	2,000	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება	5,213,553	4,684,372	3,905,285
სულ კაპიტალი	5,215,553	4,686,372	3,907,285

გრძელვადიანი ვალდებულებები

სესხები	0	0	202,568
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0	202,568

მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	92,101	0	116,282
მიღებული ავანსები	91,824	67,523	47,421
სხვა ვალდებულებები	12,853	0	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	196,778	67,522	163,703
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	5,412,331	4,753,894	4,273,556

დირექტორის მიხედ. პირი:

ეჭხ

ემა ჭარაია



შპს "ვესტა"

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშო პერიოდი "01 იანვარი 2024 - 31 დეკემბერი 2024"

ქართულ ლარში

	31 დეკემბერი 2024 წ.	31 დეკემბერი 2023 წ.
საოპერაციო შემოსავალი	6143096	6347272
საოპერაციო ხარჯები	-2292770	-2574265
საერთო მოგება	3850326	3773007
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-3023051	-2710436
საოპერაციო მოგება	827275	1062571
წმინდა საკუროსო შემოსავალი/ზარალი	-265	0
არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	17961	11025
მოგება(ზარალი) დაბეგვრამდე	844971	1073596
მოგების გადასახადი	-47368	-27295
წლის მოგება	797602	1046301
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	797602	1046301

დირექტორის მიხედ. პირი:

ემა ჭარაია



შპს „ვესტა“ ს/კ 202159788

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი
შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „ვესტა“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2000 წელს.

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, წერეთლის გამზ., №11, ბ. 7

საქმიანობის ადგილი: ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, ვანის ქ. #4

კომპანიის მფლობელები არიან: ვლადლენა გაიავეც (პ/ნ 01005009910) 60 %-იანი წილით და ანდრეი გაიავეც (პ/ნ 01005009911) 40 % იანი წილით.

კომპანიის დირექტორი არის : ვლადლენა გაიავეც (პ/ნ 01005009910)

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სხვა ბეჭდვითი საქმიანობები, მათ შორის სხვადასხვა სარეკლამო პროდუქცია.

მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი: წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) თანახმად, რომელიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში („ლარი“). 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი მონეტარული აქტივებისთვის გამოიყენებოდა შემდეგი გაცვლითი კურსები: 1 აშშ დოლარი - 2,8068 ლარი , 1 ევრო - 2,9306 ლარი.

სააღრიცხვო პოლიტიკა

საწარმო იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქმედ ანგარიშთა გეგმას. ძირითად საბალანსო ანგარიშებს შესაძლებელია დაემატოს საჭიროებისამებრ ქვეანგარიშები. ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ელექტრონული ფორმით.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ატარებს ღირებულების ცვლილებების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე. წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა-საქართველოს ეროვნული ვალუტა ლარი (GEL), კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაფასდება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

ამონაგები

ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობების და გაყიდვასთან დაკავშირებული გადასახადების გარეშე. გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები აღიარდება, როდესაც საქონელი (მომსახურება) მიწოდებულია მომხმარებლისთვის, გადაცემულია საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, შესრულებულია მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამუშაო.

სხვა შემოსავალი აღიარდება, როდესაც შემოსავლის თანხის ოდენობა შესაძლოა შეფასდეს საიმედოდ და ამასთან სავარაუდოა, რომ კომპანია მიიღებს სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს.

მარაგები

მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებით, თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების ანარიცხების გამოკლებით, როდესაც ეს არის საჭირო მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწევისას. ძირითადი საშუალებების ძირითადი ნაწილების და მოწყობილობის კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზდება, ხოლო გამოცვლილი ნაწილი ჩამოიწერება.

ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების ნარჩენ საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯში).

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
მეორადი მსუბუქი ავტომობილები	15 წელი
მეორადი სხვა სატრანსპორტო საშუალებები	15 წელი
ავეჯი ოფისისათვის	15 წელი
სამეურნეო ელექტრონული მოწყობილობები	8 წელი

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს როგორიცაა:

- ▶ კომპანიის მიერ აქტივის გამოყენების რეჟიმი;
- ▶ სავარაუდო ფიზიკური ცვეთა;
- ▶ ტექნიკური და ფიზიკური მოძველება;

► აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის ყველა არამატერიალურ აქტივს აქვს სასრული მომსახურების ვადა და პირველ რიგში მოიცავს კომპიუტერულ პროგრამებს. შეძენილი კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიები კაპიტალიზირდება მათ შესაძენად გადახდილი თანხის და მათ სამუშაო მდგომარეობამდე მიყვანის ხარჯების შესაბამისად. განვითარების ხარჯები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება კომპანიის მიერ კონტროლირებად იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამებს, აღირიცხება როგორც არამატერიალური აქტივები, თუ დამატებითი სარგებელი გადააჭარბებს სავარაუდო ხარჯებს. კაპიტალიზირებული ხარჯები მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების გუნდის პერსონალის ხარჯებს და მნიშვნელოვანი ზედნადები ხარჯების შესაბამის წილს. კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფის ყველა სხვა ხარჯები, მაგ. მისი შენახვის ხარჯი, აღიარდება ხარჯად, როდესაც ხდება ამ ხარჯის გაწევა. კომპიუტერული პროგრამები ამორტიზირდება წრფივი მეთოდით სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით, რომელიც 10 წელს შეადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ნაღდი(უნაღდო) ანგარიშწორებით ან ჩვეულებრივი საკრედიტო პირობით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში (ქართულ ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯში.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარაა, როდესაც კომპანია არის მოიჯარე და როდესაც მეიჯარესგან უფლების გადაცემისას მასზე მთლიანად არ ხდება ყველა რისკის და სარგებლის გადასვლა, იჯარის არსებობის მთელ პერიოდზე, მთლიანი საიჯარო გადახდების აღიარება ხდება წრფივი მეთოდით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სესხები

სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე შემოსავლის ანგარიშგებაში, თუკი წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური მოგების შემცირება, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯები აღარ იწვევს მომავალ ეკონომიკურ მოგებას, ან თუ მომავალი ეკონომიკური მოგება არ აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს აქტივის ბალანსში აღიარების მოთხოვნებს. კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან. კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

- საანგარიშო პერიოდის შემდგომ 2025 წელს კომპანიამ დამფუძნებელზე გაანაწილა 24210,53 ლარის დივიდენდი.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

1. ფული და ფულის ექვივალენტები		
	31 დეკემბერი 2024 წ.	31 დეკემბერი 2023 წ.
ფული სალაროში (ეროვნულ ვალუტაში)	989.05	3428.94
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე (ეროვნულ ვალუტაში)	714155.14	477467.72
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე (უცხოურ ვალუტაში)	24630.24	115619.3
სულ ფული და ფულის ექვივალენტები:	739774	596516

2.ძირითადი საშუალებები:

ჯგუფის წმინდა საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი 2024 წ.	31 დეკემბერი 2023 წ.
მიწის ნაკვეთები	454775	454775
შენობები	581020	595221
დაუმთავრებელი მშენებლობა	73549	9130
მანქანა–დანადგარები	1074664	897676
ოფისის აღჭურვილობა	125886	50341
ავეჯი და სხვა ინვენტარი	12888	9132
სატრანსპორტო საშუალებები	147863	18616
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	3557	3431
სხვა არამატერიალური აქტივები	1546	1933
სულ:	2475748	2040254

3. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	31 დეკემბერი 2024 წ.	31 დეკემბერი 2023 წ.
შრომის ანაზღაურება	2473273.90	2133556.12
სოციალური დანარიცხები (საპენსიო ფონდი)	45503.63	39422.71
კომუნიკაციის ხარჯები	7145.77	10447.47
კომუნალური ხარჯები	59898.73	59006.11
ცვეთა და ამორტიზაცია	99086.44	97555.16
რეკლამის ხარჯები	414.24	2173.37
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	1569.90	3377.01
დაზღვევა	34733.39	24812.93
რემონტი	13960.68	10532.57
სხვა საგადასახადო ხარჯი	18803.52	15016.31
საბანკო მომსახურება	7713.11	6917.13
სხვა საერთო ხარჯი	260947.36	307618.67
სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი	3023051	2710436

4. კაპიტალში ცვლილებების გაანგარიშება

	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2022 წ.	2,000	3,905,285	3,907,285
წლის მოგება/ზარალი	-	1,073,596	1,073,596
გაცემული დივიდენდი	-	(267,214)	(267,214)
მოგების გადასახადი	-	(27,295)	(27,295)
გადაფასების რეზერვი	-	-	-
31 დეკემბერი 2023 წ.	2,000	4,684,372	4,686,372
წლის მოგება/ზარალი	-	844,971	844,971
გაცემული დივიდენდი	-	(268,421)	(268,421)
მოგების გადასახადი	-	(47,368)	(47,368)
გადაფასების რეზერვი	-	-	-
31 დეკემბერი 2024 წ.	2,000	5,213,553	5,215,553